

# **გენერალური შეთანხმება ევროპის საბჭოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ**

**პარიზი, 2.IX.1949**

ბელგიის სამეფოს, დანიის სამეფოს, საფრანგეთის რესპუბლიკის, საბერძნეთის სამეფოს, ირლანდიის რესპუბლიკის, იტალიის რესპუბლიკის, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს, ნიდერლანდების სამეფოს, ნორვეგიის სამეფოს, შვედეთის სამეფოს, თურქეთის რესპუბლიკისა და დიდი ბრტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობები,

ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლის ა პუნქტის დებულებებით, დადგენილია რა რომ, წევრების წარმომადგენლებმა ვ და სამდივნომ მისი წევრების ტერიტორიაზე უნდა ისარგებლონ ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებლნი არიან მათი მოვალეობების შესასრულებლად;

ზემოხსენებული მუხლის ბ პუნქტით აიღეს რა საბჭოს წევრებმა ვალდებულება დადონ შეთანხმება იმ მიზნით, რომ შეასრულონ ხსენებული პუნქტის დებულებები;

ზემოხსენებული ბ პუნქტის შესრულებისათვის, მინისტრთა კომიტეტმა ვაუწია რა რეკომენდაცია წევრ მთავრობებს მიიღონ ქვემო დებულებები,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

## **ნაწილი I უფლებასუბიექტურობა - უფლებაუნარიანობა**

### **მუხლი 1**

ევროპის საბჭო არის იურიდიული პირი. მას აქვს უფლებამოსილება დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება და აღძრას საქმე სასამართლოში. ამ საკითხებში ევროპის საბჭოს სახით მოქმედებს გენერალური მდივანი.

### **მუხლი 2**

გენერალური მდივანი ყოველთვის თანამშრომლობს წევრების ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებთან, რათა ხელი შეეწყოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას, უზრუნველყოფილი იქნას საბოლიციო რეგულაციების დაცვა და თავიდან იქნას აცილებული წინამდებარე შეთანხმებაში ჩამოთვლილ პრივილეგიებთან, იმუნიტეტებთან, გათავისუფლებებთან და შეღავათებთან დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი სახით ბოროტად გამოყენება.

## **ნაწილი 2 - ქონება, ფონდები და აქტივები**

### **მუხლი 3**

საბჭო, მისი ქონება და აქტივები, მათი ადგილმდებარეობისა და იმის მიუხედავად, თუ ვის განკარგულებაში არიან, სარგებლობენ იმუნიტეტით ნებისმიერი სამართალწარმოებისაგან იმ კონკრეტული შემთხვევის გარდა, როდესაც რომელიმე კონკრეტულ საქმეზე მინისტრთა კომიტეტი

პირდაპირ იტყვის უარს ამგვარ იმუნიტეტზე. ამასთან, მიიხსნება, რომ არცერთ შემთხვევაში იმუნიტეტის მოხსნა არ ვრცელდება სასამართლო იძულების ან ქონების ამოღების ზომებზე.

#### **მუხლი 4**

ევროპის საბჭოს ნაგებობები და შენობები ხელშეუხებელი არიან. საბჭოს ქონება და აქტივები, მათი ადგილმდებარეობისა და იმისდა მიუხედავად, თუ ვის განკარგულებაში იმყოფებიან, სარგებლობენ იმუნიტეტით ჩხრეკის, რეკვიზიციის, კონფისკაციის, ექსპროპრიაციის ან ნებისმიერი ფორმის ჩხრეკისაგან ადმინისტრაციული, სასამართლო თუ საკანონმდებლო ქმედების ვხით.

#### **მუხლი 5**

ევროპის საბჭოს არქივები და ზოგადად, ყველა დოკუმენტი, რომელიც მას ეკუთვნის, ხელშეუხებელია, მიუხედავად იმისა, თუ სად ინახებიან.

#### **მუხლი 6**

ფინანსური კონტროლით, რეგულაციებით ან ნებისმიერი სახის ფინანსური მონიტორინგით შეზღუდვების გარეშე,

- ა) საბჭოს შეუძლია ფლობდეს ნებისმიერ ვალუტას და ჰქონდეს ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში;
- ბ) საბჭოს შეუძლია თავისუფლად გადაიტანოს მისი ფონდები ერთი ქვეყნიდან მეორეში ან ერთი ქვეყნის შიგნით და მოახდინოს მის გამგებლობაში არსებული ვალუტის კონვერტაცია ნებისმიერ სხვა ვალუტაში.
- გ) ა და ბ პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისას, ევროპის საბჭო სათანადო ყურადღებას აქცევს წევრის მთავრობის ნებისმიერ წარდგინებას და პატივს სცემს ამ წარდგინებას იმ ზომით, რითაც იგი მიიხსნევს, რომ ეს შეიძლება ვაკეთდეს საბჭოს ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

#### **მუხლი 7**

საბჭო, მისი აქტივები, შემოსავალი და სხვა ქონება თავისუფლდება:

- ა) ყველა პირდაპირი გადასახადისაგან; საბჭო, ამასთან, არ მოითხოვს გათავისუფლებას პროცენტებისაგან, გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ კომუნალური მომსახურების საფასურს;
- ბ) ყველა საბაჟო გადასახადისა და აკრძალვისაგან და იმ ნივთების იმპორტსა და ექსპორტზე შეზღუდვისაგან, რომლებიც აუცილებელი არიან საბჭოსათვის სამსახურეობრივი გამოყენებისათვის; ამ შეღავათით შემოტანილი ნივთები გაიყიდება იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა მათი იმპორტირება, მხოლოდ იმ პირობების დაცვით, რომლებიც მოწონებული არიან ამ ქვეყნის მთავრობის მიერ;
- გ) მისი პუბლიკაციების მიმართ ყველა საბაჟო გადასახადისაგან და იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვისა და შეზღუდვისაგან.

### **ნაწილი III - კავშირის საშუალებები**

#### **მუხლი 8**

კავშირის ოფიციალური საშუალებების მიმართ, მინისტრთა კომიტეტი და გენერალური მდივანი თითოეული წევრის ტერიტორიაზე სარგებლობენ სხვა მთავრობის დიპლომატიური მისიის წევრისათვის დადგენილი არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმით. მინისტრთა კომიტეტისა და სამდივნოს ოფიციალური კორესპონდენცია და სხვა ოფიციალური კავშირი არ ექვემდებარებიან ცენზურას.

### **ნაწილი IV - წევრების წარმომადგენლები მინისტრთა კომიტეტში**

#### **მუხლი 9**

წარმომადგენლები მინისტრთა კომიტეტში, მათი ფუნქციების განხორციელებისას და შეხვედრების ადგილებამდე ან ამ ადგილებიდან მგზავრობის დროს, სარგებლობენ შემდეგი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით:

- ა) იმუნიტეტი პირადი დაპატიმრების ან დაკავების და მათ პირად ბარგზე ყადაღის დადებისაგან, ასევე, იმუნიტეტი წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების და მათი უფლებამოსილების განხორციელებისას შესრულებული სხვა ქმედების გამო მათ წინააღმდეგ ნებისმიერი სახის სამართალწარმოებისაგან;
- ბ) ყველა ქაღალდისა და დოკუმენტის ხელშეუხებლობა;
- გ) კოდების გამოყენების და ქაღალდებისა და კორესპონდენციის მიღების უფლება კურიერის ან დალუქული პაკეტის საშუალებით;
- დ) მათი და მათი მეუღლეების ვათავისუფლება საიმპერაციო შეზღუდვებისაგან ან უცხოელთა რეგისტრაციისაგან იმ სახელმწიფოში, სადაც ისინი ვიზიტით იმყოფებიან ან რომელსაც ტრანზიტით გაივლიან მათი სამსახურობივი ფუნქციების შესრულებისას;
- ე) იგივე შეღავათები ვალუტის ან ფულის გადაცვლაზე დაწესებული შეზღუდვების მიმართ, რომლებიც ენიჭებათ შესაბამისი რანგის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს;
- ვ) იგივე იმუნიტეტები და შეღავათები მათი პირადი ბარგის მიმართ, რომლებიც ენიჭებათ შესაბამისი რანგის დიპლომატიური მისიების წევრებს.

#### **მუხლი 10**

იმისათვის, რომ წარმომადგენლებისათვის მინისტრთა კომიტეტში უზრუნველყოფილი იქნას სიტყვის სრული თავისუფლება და მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას სრული დამოუკიდებლობა, ისინი გააგრძელებენ სარგებლობას იმუნიტეტით ნებისმიერი სახის სამართალწარმოებისაგან წარმოთქმული ან დაწერილი სიტყვების და მათი უფლებამოსილების განხორციელების დროს მათ მიერ შესრულებული ყველა აქტის გამო, მიუხედავად იმისა, კვლავ არიან თუ არა შესაბამისი პირები დაკავებულნი ასეთი მოვლულობების შესრულებით.

#### **მუხლი 11**

პრივილეგიები და იმუნიტეტები წევრების წარმომადგენლებს ენიჭებათ არა მათი პირადი სარგებლობისათვის, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათ მიერ მინისტრთა კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებული ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელება. შესაბამისად წევრს აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ მისი მოვალეობაა მოუხსნას მის

წარმომადგენელს იმუნიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, წევრის აზრით, იმუნიტეტი ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას და როდესაც იგი შეიძლება მოიხსნას იმ მიზნისათვის ზიანის მიუყენებლად, რომლისთვისაც წარმომადგენელს მინიჭებული აქვს იმუნიტეტი.

## **მუხლი 12**

ა) მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების დებულებები არ გამოიყენებიან სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიმართ, რომლის მოქალაქეც არის პირი, ან რომლის ორგანოს წარმომადგენელიც იგი არის ან იყო.

ბ) ზემო მე-9, მე-10, მე-11 და მე-12.ა მუხლებში, მიიხსნება, რომ გამოთქმა წარმომადგენლები მოიცავს ყველა წარმომადგენელს, წარმომადგენლების მოადგილეებს, მრჩეველებს, ტექნიკურ ექსპერტებს და დელეგაციების მდივნებს.

## **ნაწილი V - წარმომადგენლები საკონსულტაციო ასამბლეაში**

## **მუხლი 13**

დაუშვებელია რაიმე ადმინისტრაციული ან სხვაგვარი შეზღუდვის დაწესება საკონსულტაციო ასამბლეაში წარმომადგენლების ან მათი მოადგილეებს თავისუფალ გადაადგილებაზე ასამბლეის შეხვედრის ადგილამდე მგზავრობის ან იქედან დაბრუნების დროს.

წარმომადგენლებსა და მათ მოადგილეებს საბაჟო და საგალუტო რეჟიმის მიმართ, ენიჭებათ:

ა) თავიანთი მთავრობის მიერ დადგენილი იგივე შეღავათები, რომლებიც ენიჭებათ უფროსი თანამდებობის პირებს, რომლებიც მგზავრობენ საზღვარგარეთ დროებითი სამსახურეობრივი მოვალეობების შესასრულებლად.

ბ) სხვა მხარეთა მთავრობების მიერ დადგენილი იგივე შეღავათები, რომლებიც ენიჭებათ უცხოეთის მთავრობათა წარმომადგენლებს, რომლებიც იმყოფებიან ქვეყანაში დროებითი სამსახურეობრივი მოვალეობების შესასრულებლად.

## **მუხლი 14**

წარმომადგენლები საკონსულტაციო ასამბლეაში და მათი მოადგილეები სარგებლობენ იმუნიტეტით ნებისმიერი ოფიციალური დაკითხვის, დაპატიმრებისა და სამართალწარმოებისაგან წარმოთქმული სიტყვების ან ხმის მიცემის გამო, რაც განხორციელებული იქნა მათ მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულებისას.

## **მუხლი 15**

საკონსულტაციო ასამბლეის სხდომის დროს, წარმომადგენლები ასამბლეაში და მათი მოადგილეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი პარლამენტის წევრები, სარგებლობენ:

ა) მათ ეროვნულ ტერიტორიაზე, ამ ქვეყნებში პარლამენტის წევრებისათვის უზრუნველყოფილი იმუნიტეტებით;

ბ) სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმუნიტეტით დაპატიმრებისა და სისხლის სამართლებრივი დევნისაგან.

ეს იმუნიტეტი ასევე გამოიყენება, როდესაც ისინი მგზავრობენ საკონსულტაციო ასამბლეის შეხვედრის ადგილამდე ან ადგილიდან. ამასთან, ეს დებულება არ გამოიყენება იმ შემთხვევების

მიმართ, როდესაც წარმომადგენლები და მათი მოადგილეები დაკავდებიან დანაშაული ჩადენის, ჩადენის მცდელობის ან დაუყოვნებლივ დანაშაულის ჩადენის შემდეგ და როდესაც ასაძბლეთა მოუხსნის მათ იმუნიტეტს.

## **ნაწილი VI - საბჭოს თანამდებობის პირები**

### **მუხლი 16**

ქვემო მე-18 მუხლით გათვალისწინებული იმუნიტეტებისა და პრივილეგიების გარდა, გენერალური მდივანი და გენერალური მდივნის მოადგილე, მათი მეუღლეები და არასრულწლოვანი შვილები სარგებლობენ იმ იმუნიტეტებით, გათავისუფლებითა და შეღავათებით, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიურ ემისრებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

### **მუხლი 17**

გენერალური მდივანი განსაზღვრავს თანამდებობის პირთა კატეგორიებს, რომელთა მიმართაც მოხდება ქვემო მე-18 მუხლის დებულებების გამოყენება. იგი აცნობებს ამ კატეგორიებს ყველა წევრი სახელმწიფოს მთავრობას. ამ კატეგორიებში ჩართული თანამდებობის პირთა სახელები პერიოდულად ეცნობებათ წემოსხსენებულ მთავრობებს.

### **მუხლი 18**

ევროპის საბჭოს თანამდებობის პირები:

- ა) სარგებლობენ იმუნიტეტით სამართალწარმოებისაგან წარმოთქმული ან დაწერილი სიტყვების და მათ მიერ ოფიციალური უფლებამოსილებით და მათი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი აქტის გამო;
- ბ) თავისუფლდებიან მათი ხელფასებისა და ევროპის საბჭოს მიერ მათთვის გადახდილი ანაზღაურებების დაბეგვრისაგან;
- გ) მათ მეუღლეებთან და მათზე დამოკიდებული პირებთან ერთად სარგებლობენ იმუნიტეტით საიმპერაციო შეზღუდვებისა და უცხო ქვეყანაში რეგისტრაციისაგან;
- დ) სარგებლობენ იმავე პრივილეგიებით ფულის გადაცვლის საშუალებების მიმართ, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიური მისიების შესაბამისი რანგის თანამდებობის პირებს შესაბამის სახელმწიფოში;
- ე) მათ მეუღლეებთან და მათზე დამოკიდებულ ნათესავებთან ერთად ეძლევათ იგივე რეპატრაციის საშუალებები საერთაშორისო კრიზისის დროს, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან დიპლომატიური ემისრებისათვის;
- ვ) აქვთ უფლება საბაჟო გადასახადის გარეშე შემოიტანონ მათი ავეჯი და ქონება შესაბამის ქვეყანაში თანამდებობის თავდაპირველად დაკავებისას და ასევე დაუბეგრავად გაიტანონ ისინი თავიანთ საცხოვრებელ ქვეყანაში.

### **მუხლი 19**

პრივილეგიები და იმუნიტეტები თანამდებობის პირებს ენიჭებათ ევროპის საბჭოს ინტერესებში და არა მათი პირადი სარგებლობისათვის. გენერალურ მდივანს აქვს უფლება და მისი მოვალეობაა მოუხსნას იმუნიტეტი ნებისმიერ თანამდებობის პირს იმ შემთხვევაში, თუკი მისი აზრით, იმუნიტეტი დააბრკოლებს მართლმსაჯულების განხორციელებას და როდესაც იმუნიტეტის მოხსნა შეიძლება ევროპის საბჭოს ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. გენერალური მდივნისა და გენერალური მდივნის მოადგილის მიმართ, იმუნიტეტის მოხსნის უფლება აქვს მინისტრთა კომიტეტს.

## **ნაწილი VII - დამატებითი შეთანხმებები**

### **მუხლი 20**

საბჭოს შეუძლია ნებისმიერ წევართან ან წევრებთან დადოს დამატებითი შეთანხმებები, რომლებითაც მოხდება გენერალური შეთანხმების დებულებების მოდიფიცირება, იმ წილით, რითაც იგი ენება შესაბამის წევრს ან წევრებს.

## **ნაწილი VIII - დავები**

### **მუხლი 21**

ნებისმიერი დაგა საბჭოსა და კერძო პირებს შორის, რომელიც ენება საგნების განხორციელებულ მიწოდებას, გაწეულ მომსახურებას ან ევროპის საბჭოს სახელით შექმნილ უძრავ ქონებას, გადაეცემა არბიტრაჟს, გენერალური მდივნის მიერ მინისტრთა კომიტეტის თანხმობით გაცემული ადმინისტრაციული ორდერით განსაზღვრული წესით.

## **ნაწილი IX - დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 22**

წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. შეთანხმება ძალაში შედის დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ხელმომწერები შესანახად ჩააბარებენ მათ სარატიფიკაციო სიგელებს.

მიუხედავად ამისა, წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად შეთანხმების ძალაში შესვლამდე, ხელშემკვერელი მხარეები თანხმდებიან, რომ საბჭოს ეფექტური საქმიანობის გადადების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენონ იგი წინასწარ ხელმოწერის თარიღიდან, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია მათი შესაბამისი კონსტიტუციური სისტემების მიხედვით.

ამის დასტურად, ქვემოთ სრულუფლებიანმა ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე გენერალურ შეთანხმებას.

შესრულებულია პარიზში, 1949 წლის სექტემბრის მე-2 დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური, შედგენილი თითო ეგ ზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერს.